14.01.2026

სკოლის გაზეთი

ევროპული სკოლა

ჩვენი CIS ისტორია

ზოგჯერ ახალ თავგადასავალს შეკითხვით ვიწყებთ: მზად ვართ, უფრო უკეთესად გავაკეთოთ ის, რაც ისედაც კარგად გამოგვდის? CIS-ის რეაკრედიტაციის პროცესმა სწორედ მსგავსი მზაობა მოითხოვა თითოეული ჩვენგანისგან, ჩვენ ერთად გავიარეთ განვითარების, გააზრებისა და **საერთო** მიზნისკენ სწრაფვის გზა.

საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) აკრედიტაცია მოიაზრებს უამრავი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და აღიქმება, როგორც რთული ინსტიტუციური პროცესი, თუმცა ჩემთვის მას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს და არის შესაძლებლობა, გუნდი საერთო ხედვით **გავაერთიანო** და კიდევ ერთხელ ვაჩვენო საზოგადოებას, რა სკოლა ვართ.

CIS-ის თვითშეფასების პროცესის ხელმძღვანელობა ნიშნავდა პასუხისმგებლობის აღებას შთამაგონებელ, მაგრამ ამავდროულად რთულ ამოცანაზე, გუნდის მართვას ყოვლისმომცველ ანალიტიკურ პროცესში, ძლიერი მხარეების გამოვლენას, განვითარების შემდგომი **შესაძლებლობების** გაცნობიერებას და იმ მტკიცებულებების შეგროვებას, რომლებიც უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტებისადმი ჩვენი სასკოლო პროცესების შესაბამისობას ადასტურებს. ეს არ იყო არც ერთ კვირაში ან ერთ თვეში შესრულებადი ამოცანა, პროცესი 18 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და ჩვენი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და პერსონალის ყოველდღიური საქმიანობის პარალელურად მიმდინარეობდა.

ჩემი ფუნქცია სცდებოდა ვადების გაწერას, დოკუმენტაციისა და შეხვედრების ორგანიზებას. მთავარი გამოწვევა იყო მოტივაციის შენარჩუნება და თითოეული კოლეგისთვის არა მხოლოდ საქმის შემსუბუქება, არამედ ამ პროცესში სიხარულისა და სიამაყის განცდის გაჩენა. მინდოდა, ჩვენს გუნდს ეს პროცესი არა თუ ვალდებულებად, არამედ ჩვენი სკოლის მომავლის შექმნის შესაძლებლობად აღექვა. ასეც მოხდა: ერთად შევქმენით ღიაობის, თანამშრომლობისა და ჯანსაღი ამბიციის **კულტურა.**

დღეს დიდი სიამაყით შემიძლია, გაგიზიაროთ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის შედეგები:

- 87 სტანდარტი სრულად დაკმაყოფილდა
- 8 სტანდარტმა გადააჭარბა მოთხოვნებს
- 58 საქებარი შეფასება გამორჩეული პრაქტიკისა და მიღწევებისთვის
- მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც სამომავლო განვითარების გზას გვიჩვენებს

ეს შედეგები ადასტურებს, რომ „ევროპული სკოლა“ კვლავ რჩება საქართველოში CIS-ის მიერ აკრედიტებულ პირველ და ერთადერთ სკოლად და აგრძელებს საერთაშორისო განათლების სტანდარტების დამკიდრებას

რეგიონში. განსაკუთრებით შთამაგონებელია CIS-ის ექსპერტთა გუნდის უკუკავშირი.

კომისიის თავმჯდომარემ, მენდი დიკინსონმა აღნიშნა, რომ სკოლის საზოგადოება, მისი დამფუძნებლები, ხელმძღვანელობა, თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები, სრულად „იზიარებენ საერთაშორისო სკოლების საბჭოს ეთიკასა და ღირებულებებს“, „ევროპული სკოლა“ კი არის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლითაც შეიძლება იამაყო.

თავმჯდომარის მოადგილე ფრედ რანკელი კიდევ უფრო შორს წავიდა შეფასებისას და განაცხადა, რომ ჩვენი მოსწავლეები „იღებენ საუკეთესო განათლებას საუკეთესო სკოლაში“, ხოლო „ევროპული სკოლა“ მსოფლიოს საუკეთესო სკოლების 5%-ს შორის იკავებს ადგილს. რეგიონში ტექნოლოგიებისა და განათლების წამყვან ჰაბად სკოლის ჩამოყალიბების ჩემი ხედვა მან არა მომავლის ოცნებად, არამედ მოქმედ რეალობად შეაფასა. ექსპერტის კომენტარმა, რომ ვარ „ლიდერი მომავლის ხედვით, რომელსაც შეუძლია სხვების წარმართვა და შთაგონება“, კიდევ ერთხელ შემახსენა, რომ ლიდერობა ყოველთვის გუნდური მიღწევაა, რომელიც გარშემო მყოფი ადამიანების თავდადებაზე დგას.

ჩემთვის CIS აკრედიტაცია არ არის მხოლოდ სერტიფიკატი ან სტატუსი, ეს არის უწყვეტი განვითარების პროცესი, რომლის მიზანია, თითოეული გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი იყოს მოსწავლე და მუდმივად ვისწრაფოდეთ ახალი სიმაღლეებისკენ. ამ პროცესმა და მისი წარმატებით დასრულებამ **კიდევ** ერთხელ შეგვახსენა, რომ ჩვენ მხოლოდ მაღალი სტანდარტების შენარჩუნებით არ ვკმაყოფილდებით, ჩვენ მუდმივად ვზრდით სტანდარტს.

ჩვენი CIS ისტორია ჯერ არ დასრულებულა. მრავალი თვალსაზრისით, ეს რეაკრედიტაცია დასაწყისია და არა დასასრული. ის კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენთვის მოსწავლეთა კეთილდღეობის, აკადემიური წარმატების, გლობალური მოქალაქეობისა და ინოვაციების პრიორიტეტულობას და **აძლიერებს** სურვილს, განვაგრძოთ განათლების მომავლის ფორმირება რეგიონში.

მე მაქვს პატივი, ვხელმძღვანელობდე ამ გამორჩეულ სკოლას და დიდი ინტერესით ველი იმას, რასაც ერთად მივაღწევთ მომდევნო წლებში.

სოფიო ბაზაძე

“ევროპული სკოლის” დირექტორი

„საბადოს“ სილამაზე: რასაც გარედან ხედავ და მის კედლებში გრძნობ

„საბადოს გარედან რომ ვუყურებდი, ძალიან ლამაზი იყო, თუმცა შიგნიდან კიდევ უფრო ლამაზი ყოფილა“, - ასე შეაფასა თავისი გამოცდილება ჩვენმა მონაწილემ მანგლისის სკოლიდან.

ამ ერთი შეხედვით უბრალო სიტყვებში ყველაფერია იმის შესახებ, თუ რატომ შეიქმნა „საბადო“, რა მიზანს ემსახურება და რა მისიის, ხედვისა თუ კონცეფციის გარშემო ჩამოყალიბდა.

ადამიანი არის მთავარი რესურსი ამ სამყაროში, განსაკუთრებით კი - საქართველოში. ჩვენ, ჩვენი თანამოქალაქეები, ის ახალგაზრდები, რომელთაც ამ ქვეყნის მომავალი უნდა შექმნან, ჩვენი მთავარი აქტივია. შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი და დროული ინვესტიცია სწორედ ამ ადამიანებში, ამ ახალგაზრდებში უნდა ჩავდოთ. ეს „საბადოს“ დამფუძნებლის, დავით ბეჟუაშვილის ხედვა იყო, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე გაგვიზიარა. ამ ხედვას დაეფუძნა „საბადოს“ შექმნისა და განვითარების ყველა შემდეგი ნაბიჯი.

ამ სიტყვებიდან მხოლოდ ერთი წელია გასული. ერთი წლის წინ მანგლისში, ამ ადგილზე, ძველი, თითქმის დანგრეული სკოლა იდგა. ამ ხედვამ, იდეამ და მიზანმა, რომ ჩვენი ვალია ვიზრუნოთ საზოგადოებაზე და გავაკეთოთ ყველაზე მთავარი ინვესტიცია - მივცეთ ახალგაზრდებს განათლების მიღების, შემეცნების, პიროვნული ზრდის საშუალება - ის განაპირობა, რომ სულ რამდენიმე თვეში იმავე ადგილზე თანამედროვე, ინოვაციური კამპუსი, ლიდერობის აკადემია გაჩნდა, სრულყოფილი აკადემიური, სპორტული თუ დასასვენებელი ინფრასტრუქტურით, ჩამოყალიბებული ხედვით, კონცეფციითა და პროგრამებით.

გახსნის შემდეგ, 6 თვეში, „საბადომ“ 20-მდე სხვადასხვა პროგრამა შესთავაზა თავის სტუმრებს. ყველა ეს პროგრამა ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას და იმ ცოდნის ჩამოყალიბებას, რამაც ჩვენი ახალგაზრდები მომავლის ადამიანებად, ლიდერებად, საუკეთესო მოქალაქეებად, თანამედროვე, კონკურენტული სამყაროს ღირსეულ წევრებად უნდა აქციოს.

ამ ხნის განმავლობაში 1000-ზე მეტი მონაწილე მივიღეთ, ბევრ სხვადასხვა აქტივობას თუ ღონისძიებას ვუმასპინძლეთ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაჩნდა განცდა, რომ „საბადო“ „შიგნიდანაც ლამაზია“. ის ემოციები და გამოცდილებები, ის ადამიანზე ორიენტირებულობა, რაც ჩვენი ხედვის ამოსავალია, ქმნის „ამ შიგნიდანაც სილამაზის“ განცდას.

მეტის მიღწევა გვინდა, თუმცა ერთი წლისთვის ცოტა არ არის. 2025 წელი „საბადოს“ დაბადების წელი იყო. გაგრძელება იქნება...

ნიკა, „საბადოს“ მონაწილე, მანგლისის სკოლა:

„როცა „საბადოს“ მშენებლობა დაიწყო, მანგლისში ყველას ძალიან გვიხაროდა. ვიცოდით, რომ ჩვენთვის, ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ამბავი ხდება. დიდი მოლოდინი იყო. ახლა, აქ საშუალება გვაქვს ისეთი რაღაცები ვისწავლოთ და მოვისმინოთ, რასაც სხვაგან ვერ ნახავ. საინტერესო ადამიანებს შევხვდეთ, ჩვენი სხვა თანატოლები გავიცნოთ. ყველას უხარია ხოლმე აქ მოსვლა“.

ტინო, „საბადოს“ მონაწილე, ევროპული სკოლა:

„საბადოში“ მიღებული ჩემი გამოცდილება რამდენიმე სიტყვით რომ აღვწერო, ეს იქნება: „ცოდნა, პოზიტივი, მოძრაობა და შთაგონება.“

მანგლისის კამპუსში სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ, გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ეს უბრალოდ ბანაკი არ არის, ეს არის გარემო, რომელმაც შეიძლება შენი ცხოვრება მლიანად შეცვალოს.

„საბადოს“ განსაკუთრებულს სწორედ ის ხდის, რომ სწავლა და სპორტული თუ გასართობი აქტივობები ჰარმონიულადა არის შერწყმული. ერთ კვირას სპორტის ფესტივალზე ვიყავი, სადაც კალათბურთისა და პადელის მატჩების ენერგია ვიგრძენი. თუმცა ეს მხოლოდ თამაში არ ყოფილა, ისეთი ლეგენდების გაცნობამ, როგორებიც არიან ზაზა ფაჩულია და გიორგი ქოჩორაშვილი, დამანახა, რომ დისციპლინა და გამძლეობა ლიდერობის მთავარი გასაღებია. აქ წარმატებაზე მხოლოდ არ გესაუბრებიან, მას რეალურად ხედავ მოქმედებაში.

„საბადოში“ ლექციებზე უბრალოდ არ ვსხედვართ, ვმართავთ სიმულაციებს, ვსწავლობთ ადამიანურ ურთიერთობებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიძენთ ახალ მეგობრებსა და გამორჩეულ მენტორებს.

თუ გსურს იპოვო საკუთარი ხმა, შეიძინო შესანიშნავი მეგობრები და ისწავლო საუკეთესო პროფესიონალებისგან, მაშინ აუცილებლად უნდა სცადო „საბადო“!

გიორგი უგულავა
“საბადოს” ხელმძღვანელი

ინოვაცია, STEAM განათლება და საერთაშორისო წარმატება

რა აერთიანებს რობოტებს პანამაში, ციფრულ კუნძულს Kahoot-ის სამყაროში და ხელოვნური ინტელექტით შექმნილ მუსიკას, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიადის ოფიციალურ საუნდტრეკად იქცა? პასუხი ერთია: „ევროპული სკოლა“, სადაც ციფრული ტექნოლოგიები, STEAM განათლება და გლობალური მოქალაქეობა ყოველდღიური სასწავლო პროცესის ნაწილია.

ინჟინერია, რომელიც მსოფლიომ აღიარა

2025 წელს პანამაში გამართულ FIRST Global Challenge-ზე საქართველოს რობოტიკის ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა. განსაკუთრებით საამაყოა ის ფაქტი, რომ გუნდის შემადგენლობაში „ევროპული სკოლის“ სამი მოსწავლე იყო: საბა რობაქიძე, ლუკა ფარჯანაძე და ილია ბერბიჭაშვილი, ხოლო ნაკრებს ჩვენი სკოლის მასწავლებლები **გურანდა** გოგალაძე და ნიკოლოზ ლობჟანიძე წვრთნიდნენ.

მრავალთვიანი ინტენსიური მზადების, ტექნიკური წვრთნების, თამაშის სიმულაციებისა და FabLab-ში მუშაობის შედეგად გუნდმა მოიპოვა Katherine Johnson Engineering Documentation Award-ის ვერცხლის მედალი. ეს ჯილდო ენიჭება გუნდს, რომელმაც ინჟინრული აზროვნება, პროცესი ჩანაფიქრიდან საბოლოო შედეგამდე ყველაზე მკაფიოდ, პროფესიონალურად და სიღრმისეულად წარმოაჩინა. განსაკუთრებული ემოციებით იყო სავსე Parade of Nations, სადაც ჩვენი მოსწავლეები საქართველოს დროშით მსოფლიო სცენაზე წარდგნენ. დაუვიწყარი აღმოჩნდა შეხვედრა FIRST Global-ის დამფუძნებელ დინ ქეიმენთანაც, რომელსაც „ევროპული სკოლის“ სახელით სიმბოლური საჩუქარი გადაეცა.

ციფრული კუნძული, სადაც მეოთხეკლასელები ჩემპიონები გახდნენ

ტექნოლოგიურ სამყაროში წარმატებით იმოგზაურეს დაწყებითი საფეხურის მოზარდებმაც. PYP მე-4 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს Kahoot-ის საერთაშორისო გამოწვევაში „Kahootpolia Island“. თავდაპირველად უცნობი პროექტი მათთვის ნამდვილ ციფრულ თავგადასავლად იქცა, სადაც გუნდური მუშაობა, პასუხისმგებლობა და სტრატეგიული **აზროვ**ნება გადამწყვეტი აღმოჩნდა.

სასწავლო წლის ბოლოს მათ შეძლეს ის, რაც ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო: გაიარეს ყველა დონე, გახდნენ სამივე ოფიციალური ლიგის ჩემპიონები და მოიპოვეს Kahoot Diamond Trophy-ები. კულმინაცია კი გლობალური ონლაინ ტრივია იყო, სადაც 2,100-ზე მეტ მონაწილეს შორის ჩვენი სკოლის გუნდი მე-6 ადგილით მსოფლიო რუკაზე დაფიქსირდა. მოსწავლეების თქმით, სწორედ ამ მომენტში იგრძნეს, რომ სწავლა საკლასო სივრცეს სცდება და მთელი მსოფლიო შეიძლება ერთ დიდ საკლასო ოთახად იქცეს.

კოდიდან კომპოზიციამდე

STEAM განათლებისა და შემოქმედებითი აზროვნების სინთეზის გამორჩეული მაგალითია ქართული პროგრამის მე-10 კლასის მოსწავლის, ნატალი ნოზაძის, წარმატება. 2025 წლის ნოემბერში მან მონაწილეობა მიიღო ფიბონაჩის რობოტიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში, სადაც 50 ქვეყანა იყო წარმოდგენილი.

ნატალიმ პირველი ადგილი მოიპოვა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მუსიკის შექმნის კატეგორიაში, ხოლო მისი ნამუშევარი ფიბონაჩის ოფიციალურ საუნდტრეკად შეირჩა. ეს არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ ნიჭის, ტექნოლოგიისა და შემოქმედებითი ხედვის საერთაშორისო აღიარებაა.

რობოტები, ციფრული თამაშები, ხელოვნური ინტელექტი და გლობალური თანამშრომლობა — ეს ყველაფერი „ევროპულ სკოლაში“ განხორციელებული პროექტების კომპონენტები როდია მხოლოდ, ეს არის განათლების ხედვა, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გახდნენ მომავლის ინოვატორები.

ქეთი ნაჭყებია

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ხელოვნება და სპორტი: „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა წარმატების ისტორიები

„ევროპულ სკოლაში“ მოსწავლეები საკუთარ ინტერესებს საკლასო სივრცის გარეთ, სცენასა თუ სპორტულ არენებზე აქტიურად ავლენენ და წარმატებასაც აღწევენ. მათი მიღწევები სპორტსა და ხელოვნებაში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მრავალმხრივი განვითარება სკოლის საგანმანათლებლო ხედვის განუყოფელი ნაწილია, ხოლო თითოეული გამარჯვება ახალი შთაგონების წყაროა მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის.

მე-9გ კლასის მოსწავლე ანასტასია ვადაჭკორია პროფესიონალი მოცეკვავეა და სტუდია „თელას“ ღირსეულად წარადგენს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. შთამბეჭდავია მისი წარმატებები სამეჯლისო და თანამედროვე („ქონთემფორარი“) ცეკვებში.
2025 წლის სექტემბერში ანასტასიამ ლონდონში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატზე „London Open 2025“ იასპარეზა და მე-2 ადგილი მოიპოვა.

მე-12ა კლასის მოსწავლე ელენე კუჭუხიძეს ხელოვნება და ფუნქციური დიზაინი ბავშვობიდან იტაცებს. მან პირველი სათამაშო 10 წლის ასაკში შექმნა და მიზანიც თავიდანვე ჰქონდა, სათამაშო ყოფილიყო არა მხოლოდ ლამაზი, არამედ -სასარგებლოც.
„ჩიტის სახლი“, „ჩემი საყვარელი წიგნის თარო“, „მოდელები“ და „ახალი თბილისი“ — ეს ის ნამუშევრებია, რომლებიც ბავშვებს დამოუკიდებლად აწყობისა და გაფორმების შესაძლებლობას აძლევს.
5 დეკემბერს ლიტერატურულ კაფე „Another Valley“-ში გაიხსნა ელენეს ბრენდის „ხე კადუს“ გამოფენა, სადაც მან ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები, ქართველი მხატვრების მიერ მოხატული ნამუშევრები და 50 ხელნაკეთი ნაძვის ხე წარმოადგინა.

მოსწავლის წარმატების ისტორია

2025 წლის ნოემბერში ჩატარებულმა საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა „ოქროს პეპელა“ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალი. ნომინაციაში საუკეთესო ანიმაცია გამარჯვებული გახდა მე-9გ კლასის მოსწავლე ანასტასია მაისურაძე ანიმაციური ფილმით „მშვიდობის ვალსი“.
ამავე ფესტივალზე ნომინაციებში „საუკეთესო გოგო შემსრულებელი“ და „საუკეთესო ბიჭი შემსრულებელი“ გამარჯვებულები გახდნენ ანასტასია ვადაჭკორია და საბა ღვინიაშვილი.

მე-9ა კლასის მოსწავლე ავთანდილ წერეთელი თეატრი-სახელოსნოს ნაწილი გახდა, სივრცისა, სადაც სცენაზე დგომის ოცნება რეალობად იქცევა. მან მონაწილეობა მიიღო მანანა კაზაკოვას სპექტაკლში და რეჟისორის როლი შეასრულა. ეს გამოცდილება მისთვის ახალი გამოწვევა იყო და წარმატებაც მოუტანა დამწყებ მსახიობს.

ავტოსპორტში გამორჩეული შედეგები აჩვენა მე-8ბ კლასის მოსწავლე ანზორ ბიძინაშვილმა. იგი უკვე ორი წელია წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატებზე და 2025 წლის პრო ლიგაში, 70 მონაწილეს შორის, პირველი ადგილიც დაიკავა.
ნოემბერში მან Head 2 Head-ის ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.

მე-7ა კლასის მოსწავლე ლიზა ხორავა ჩოგბურთს უკვე შვიდი წელია თამაშობს და შედეგებიც შთამბეჭდავი აქვს. 2025 წელს მან არაერთ საერთაშორისო და ეროვნულ ტურნირზე იასპარეზა, მათ შორის თურქეთში გამართულ Ten-Pro Global Junior Tour-ზე, სადაც მესამე ადგილი მოიპოვა.
საქართველოს ჩემპიონატზე ლიზა ვერცხლის პრიზიორი გახდა და ქვეყნის მეორე ჩოგნის სტატუსიც მოიპოვა. ზაფხულის ტურნირებზე მიღწეულმა წარმატებებმა კი კიდევ ერთხელ აჩვენა მისი სპორტული პოტენციალი.

ვუსურვებთ ჩვენს მოსწავლეებს, რომ ეს წარმატებები მხოლოდ დასაწყისი იყოს იმ გზისა, რომელიც კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებამდე და საერთაშორისო მიღწევებამდე მიიყვანს თითოეულს.

ქეთი ნაჭყებია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

განათლების გზა, "ევროპული სკოლის" მეცნიერ-მასწავლებლთა მუდმივი სწრაფვა

"ევროპულ სკოლაში" ყოველი დღე იწყება რწმენით, რომ განათლება დაუსრულებელი მოგზაურობაა, ხოლო მასწავლებელი - მუდმივი მგზავრი. სწორედ მასწავლებელთა დაუღალავი შრომის შედეგად ისხამს მოსწავლის ცნობისმოყვარეობა ფრთებს, იდეები იქცევა მიზნებად და იქმნება ნათელი მომავლის ძლიერი ფუნდამენტი.
გაგიზიარებთ ჩვენი პედაგოგების წარმატებისა და მუდმივი განვითარების რამდენიმე მაგალითს, და გვჯერა, რომ მათი კვალი ბევრ მოსწავლეს ახალებურად შთააგონებს.

ეკატერინე კობახიძე, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი, გვახსენებს, რომ წარსული ჩვენი აწმყოს განუყოფელი ნაწილია. მისი წიგნი „ანტიკურობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში", რომელიც გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) ხელშეწყობით, აკავშირებს უძველეს ცივილიზაციებსა და ქართულ კულტურულ თვითმყოფადობას. მისი კვლევა მოსწავლეებს აჩვენებს, რომ მრავალი საუკუნის წინ შექმნილი ამბები დღემდე სიბრძნეს გადმოსცემენ და ადამიანური გენიის უკვდავებას ამტკიცებენ.

გიორგი უგულავას მიერ რისმაგ გორდეზიანის თანაავტორობით შექმნილი წიგნი „რომაული ცივილიზაცია" მკითხველს აცნობს იმპერიის გარდამტეხ მოვლენებს და მეტად გვაახლოვებს დიად კულტურასთან. მის გაკვეთილებზე მოსწავლეეები იკვლევენ, როგორ იქმნებოდა მსოფლიოს ისტორია და მსჯელობენ, რა როლი ექნებათ მათ მომავლის ფორმირებაში.

ფიზიკის სამყაროში აკაკი ჩხაიძე რთული ფორმულების შესწავლას სახალისო და შემოქმედებით გამოცდილებად გარდაქმნის. მისი, უკვე ბესტსელერად ქცეული, VIII კლასისთვის შექმნილი სახელმძღვანელო მეცნიერებას რეალურ ცხოვრებასთან აახლოებს, მოსწავლეებს უბიძგებს, იფიქრონ დამოუკიდებლად და გაბედულად გადადგან ნაბიჯები საკუთარი აღმოჩენებისაკენ.

განათლება, სამართალი, საერთაშორისო თანამშრომლობა - ეს იურისტის, მკვლევარისა და მედიატორის, თამარ ავალიანის საქმიანობის სფეროებია. მისი მრავალმხრივი საქმიანობა მოიცავს: 2025 წელს ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებულ მნიშვნელოვან კვლევებს ბავშვთა უფლებების თემაზე და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს გამოცემას ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების შესახებ; გამარჯვებას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რომელმაც ქვეყნის მასშტაბით სამართლებრივი პრაქტიკა გააძლიერა; ასევე საქართველოს სკოლებისთვის შექმნილ სახელმძღვანელოს, რომელიც მომავალ თაობას სიღრმისეულ ცოდნასა და საქმისადმი პასუხისმგებლობას უნერგავს.

მირანდა მანჯგალაძემ, Helvetas Georgia-თან თანამშრომლობით, შეიმუშავა ბაზრის სისტემების განვითარების (Market Systems Development – MSD) გზამკვლევი, რომელიც მორგებულია ქართულ კონტექსტზე და გლობალური განვითარების პრაქტიკას ადგილობრივი ბაზრის რეალობასთან აკავშირებს. ამ ინიციატივით საკლასო სივრცეში ხდება რეალურ ცხოვრებაზე დაფუძნებული, სისტემური აზროვნების ხელშეწყობა და მოსწავლეთა დახმარება, უკეთ გაიაზრონ, როგორ ფუნქციონირებენ ბიზნესები უფრო ფართო ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ სისტემებში.

ჩვენი მეცნიერ-მასწავლებლები იკვლევენ, რადგან ჯერ კიდევ უამრავი საკითხია შესასწავლი, ისმენენ, ვინაიდან ყოველი მოსწავლე კიდევ ერთი ახალი ამბავია, ასწავლიან, რადგან აქვთ ხვალინდელი დღის იმედი. მათ მიერ აგიზგიზებული ცეცხლი არ წვავს, ის ათასობით ახალგაზრდას უნათებს გზას.

ნანა მუქერია
ამერიკული უმაღლესი სკოლის მასწავლებელი

მასწავლებლის წარმატების ისტორია

ნანა გოგუაძე - „ევროპული სკოლიდან“ ფინტექ ლიდერობამდე

„ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებული და კურსდამთავრებულთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე ნანა გოგუაძე უკვე მრავალი წელია ახლის ძიებით, მიზანდასახულობითა და ინოვაციებით განსაკუთრებულ კარიერას ქმნის. „ევროპული სკოლის“ დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის **უნივერსიტეტის** Stern School of Business-ში - ფინანსებისა და მენეჯმენტის მიმართულებით გამორჩეულ ბიზნესსკოლაში. სწორედ აქიდან დაიწყო მისი სწრაფი და შთამბეჭდავი პროფესიული აღმავლობა.

დღეს ნანა მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო პოზიციას იკავებს. ის Pave Bank-ში მარკეტინგის მიმართულების ახალი ხელმძღვანელია და ამ რანგში მართავს გუნდს, რომელიც საქართველოში პროგრამირებადი, კომერციული საბანკო სერვისების განვითარებაზე მუშაობს და კორპორატიულ კლიენტებს ემსახურება. ამავე დროს, ნანა აქტიურად მონაწილეობს ბანკის გლობალური ფინტექ ბრენდის ჩამოყალიბებასა და სტრატეგიული კომუნიკაციების მართვაში. მისი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება რთული ფინანსური პროდუქტების გამარტივება და ისეთი კომუნიკაციური კონტენტისა და ნარატივების შექმნაა, რომელიც ტრადიციულ საბანკო სერვისებსა და ციფრულ პროდუქტებს ერთმანეთთან აკავშირებს, სფერო, რომელიც თანამედროვე ფინანსების ავანგარდშია.

ნანას მრავალფეროვანი გამოცდილება ფინანსურ და ტექნოლოგიურ სექტორებს უკავშირდება. მისი პროფესიული პორტფოლიო მოიცავს ბრენდის სტრატეგიასა და მასშტაბური საკომუნიკაციო კამპანიების მართვას. Pave Bank-ში გადასვლამდე ის Visa-ში კორპორატიული კომუნიკაციების მიმართულებას ხელმძღვანელობდა, მანამდე კი EY (Ernst & Young)-ის უფროს ბიზნესკონსულტანტად მუშაობდა. პარალელურად ნანა განათლების სფეროშიც საქმიანობს, იგი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU) მოწვეული ლექტორია.

ნანას კარიერული გზა არაერთი აღიარებით გამოიირჩევა. 2019 წელს ის ამერიკის შეერთებულ შტატებში Forbes Under 30 Scholar-ის ტიტულით დაჯილდოვდა, 2025 წელს კი კვლავ მოხვდა Forbes-ის Under 30-ის გამარჯვებულებში სოციალური ზეგავლენის კატეგორიაში. ეს მიღწევები ნათლად ასახავს იმ თანმიმდევრულობასა და ხედვას, რომელიც მის პროფესიულ განვითარებას განსაზღვრავს.

საინტერესოა, რას ამბობს თავად ნანა გავლილი კარიერული გზის შესახებ.

რამდენად განსაზღვრა „ევროპულმა სკოლამ“ თქვენი აკადემიური და პროფესიული გზა?

სკოლაში ჩამომიყალიბდა სტრატეგიული აზროვნება, ვისწავლე მიზნების დასახვა სტანდარტული ჩარჩოების მიღმა და შესაძლებლობების შექმნა საკუთარი ძალებით. „ევროპულ სკოლაში“ გავაცნობიერე, რომ წარმატებისკენ სწრაფვა ჩემთვის ჩვევაა და არა ერთჯერადი მომენტი. სწორედ ეს მიდგომა განსაზღვრავს ჩემ კარიერულ გზას.

რა რჩევას მისცემდით „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებს, რომლებსაც ბიზნესის, ფინანსების ან ტექნოლოგიების სფეროში წარმატების მიღწევა სურთ?

იყავით ცნობისმოყვარე, გაბედული და დაიწყეთ პროფესიული კომპეტენციების განვითარება რაც შეიძლება ადრე. მსოფლიო სწრაფად იცვლება, მაგრამ წარმატებას აღწევს არა ის, ვინც ჩქარობს, არამედ ის, ვინც მზდ არის.

ნუ დაელოდებით „სწორ დროს“, ის არ არსებობს. გამოიკვლიეთ სხვადასხვა ინდუსტრიები, გაიარეთ სტაჟირებები, შექმენით კავშირები, იექსპერიმენტეთ და რეალურ პრობლემებს რაც შეიძლება ადრე შეეხეთ. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: თქვენს კარიერაზე გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს თქვენი ინიციატივა, ვიდრე გარემოებები. თქვენვე შექმენით შესაძლებლობები, ნუ დაელოდებით მათ.

ქეთი ნაჭყებია
კურსდამთავრებულთა ასოციაციის კოორდინატორი